

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

-- ივნისი 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის
პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ
ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21
ნოემბრის №71 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი „ბ.დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №71 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცებულ იქნეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით:

- ა) დიმიტრი ჭეიშვილი _ კომისიის წევრი;
- ბ) ნატალია ზოიძე _ კომისიის წევრი;
- გ) ნატალია მიმიგური _ კომისიის წევრი;
- დ) ელგუჯა ანდრიაძე _ კომისიის წევრი;
- ე) მუხამედ ართმელაძე _ კომისიის წევრი;
- ვ) ნერიმან ცინცაძე _ კომისიის წევრი;
- ზ) ანზორ დევაძე _ კომისიის წევრი;
- თ) არჩილ მამულაძე _ კომისიის წევრი;
- ი) თამაზ დევაძე _ კომისიის წევრი.“

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის
პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ
ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21
ნოემბრის №71 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №71 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი:

წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 02 ივნისს საკრებულოს წევრ ლევან ანთაძის მიერ წარმოდგენილი N19/15211533-15 განცხადებით, რომლის თანახმადაც მან მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გასვლის შესახებ, შესაბამისად მიზანშეწონილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების შეტანა და ლევან ანთაძის გასვლა კომისიის შემადგენლობიდან.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

ბ.ბ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსური შედეგების დადგომას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ე) პროექტის ავტორი:

განკარგულების პროექტის ავტორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება

ვ) პროექტის ინიციატორი:

განკარგულების პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის იურიდიული განყოფილების
უფროსი

ირაკლი თავართქილაძე